

თბილისის
ვანო
სარაჯიშვილის
სახელობის
სახელმწიფო
კონსერვატორიის
ტრადიციული
მრავალხმიანობის
საერთაშორისო
ცენტრის
ბიულეტენი

№11

ახალი ამბები

გამოხმაურება ახალ წიგნზე
ქართული მრავალხმიანობის
შესახებ

უცხოური მრავალხმიანობა.
პოლო ვალეჰო.
ვაგოგოს ტომის მუსიკა

უცხოური ფოლკლორული
ანსამბლი.
„სპარტიმუ“

ქართული ტრადიციული
მუსიკის ანსამბლი.
„იალონი“

ქართული სიმღერის
უცხოელი შემსრულებლები.
„დოლური“

ქართული სიმღერის
მოამბეები.
ძუკუ ლოლუა

ბეელი პრესის ფურცლებზე.
გრიგოლ ჩხიკვაძე.
ქართული საგუნდო
კულტურის ისტორია

ქართული მეცნიერებისა და
კულტურის კერები.
თბილისის არნოლდ
ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ერთი სიმღერის ისტორია
„კირიალესა“

ახალი ამბები

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება (ივლისი-დეკემბერი, 2011)

ფესტივალები და კონფერენციები

5-6.10.2011 – ქ. ბათუმში ჩატარდა ქაზიმ ქოიონჯუს სახელობის ლაზური სიმღერის ფესტივალი, რომელშიც ქართული ანსამბლებიდან მონაწილეობა მიიღო ანსამბლმა „თუთარჩელამ“.

17-19.10.2011 – ჩატარდა ხობის V საერთაშორისო ფესტივალი და სამეცნიერო კონფერენცია „სიმღერა სამეგრელოზე“.

15-17.11.2011 – ბათუმში ჩატარდა საერო და სასულიერო მუსიკის VI საერთაშორისო ფესტივალი და კონფერენცია.

კომპაქტ-დისკები

09.10.2011 – ანსამბლმა „მთიებმა“ ჩაწერა ახალი კომპაქტ-დისკი.

2011 წლის სექტემბერი – ანსამბლმა „რუსთავმა“ ჩაწერა ახალი კომპაქტ-დისკი

12.11.2011 – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის გალერეაში გაიმართა მგალობელ გოგონათა გუნდი „იალონის“ რიგით მეორე კომპაქტ-დისკის პრეზენტაცია

ექსპედიციები

2011 წლის ნოემბერი – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის მაგისტრანტი გიორგი კრავეიშვილი ფილოლოგ მართა ტარტარაშვილთან ერთად იმყოფებოდა მოკლევადიან ფოლკლორულ ექსპედიციაში კახის რაიონის სოფლებში (საინგილო).

2011 წლის ნოემბერი – ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულების სტუდენტები *ო. კაპანაძის ხელმძღვანელობით იმყოფებოდნენ ფოკლორულ ექსპედიციაში რაჭაში, ონის რაიონის სოფლებში.*

გასტროლები

15-27.07.2011 – ანსამბლი „ბასიანი“ იმყოფებოდა საგასტროლოდ საფრანგეთში.

24.09.2011 – ანსამბლმა „მთიებმა“ მამა გიორგი შარაშენიძესთან ერთად სტოკჰოლმის ერთ-ერთ მართლმადიდებლურ ტაძარში მონაწილეობა მიიღო საეკლესიო ღვთისმსახურებაში.

25.09.2011 – ანსამბლმა „მთიებმა“ სტოკჰოლმის მსოფლიო მუსიკისა და ფოლკლორის ცენტრ „სტალეტში“ სოლო კონცერტი გამართა.

15-25.10.2011 – ანსამბლი „თუთარჩელა“ იმყოფებოდა საგასტროლოდ გერმანიის ქალაქებში: ლიუნებურგში, ჰანოვერში, ჰამბურგში, ბევენზენში, სადაც გამართა როგორც სოლო, ისე ერთობლივი კონცერტები გერმანელ ქალთა გუნდთან “Vemmes vocales”- ერთად და ჩაატარა მასტერკლასები ქ. ლიუნებურგში.

16-19.10.2011 – ანსამბლი „დიდგორი“ იმყოფებოდა საგასტროლოდ კორსიკაზე, ქ. აიაჩოში.

26.10.2011-23.11.2011 – ანსამბლი „შენაბადა“ იმყოფებოდა საგასტროლოდ ინგლისის სხვადასხვა ქალაქებში, სადაც სოლო კონცერტების პარალელურად მასტერკლასებიც ჩაატარა.

4-28.11.2011 – ანსამბლი „სახიობა“ იმყოფებოდა დიდ ბრიტანეთში, სადაც გამართა 14 კონცერტი.

2-17.11.2011 – ანსამბლი „რუსთავი“ იმყოფებოდა საგასტროლოდ ნორვეგიის, პოლონეთისა და იტალიის სხვადასხვა ქალაქებში.

19-30.11.2011 – ანსამბლი „რუსთავი“ იმყოფებოდა საგასტროლოდ ეკვადორში

კონცერტები და საღამოები

6.10.2011 – ჯ. კახიძის სახელობის კლასიკური მუსიკის ფესტივალის „შემოდგომის თბილისის“ ფარგლებში გაიმართა ქართული ფოლკლორის საღამო, რომელიც მიეძღვნა ანსამბლ „შიდეკაცას“ 55 წლის იუბილეს. კონცერტში მონაწილეობდნენ ანსამბლები: „მართვე“, „ბიჭები“, „მძღვეარი“, „რუსთავი“, „ბასიანი“, „იმერეთი“, „ბათუმი“, „შაღვა

ჩემო“, სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდი, ქალთა ინსტრუმენტული ანსამბლი „გორდელა“, ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „ქალგულო“.

15.10.2011 – ანსამბლმა „რუსთავმა“ გამართა სოლო კონცერტი ქ. რუსთავში „რუსთავობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით.

28.10.2011 – ანსამბლმა „რუსთავმა“ გამართა სოლო კონცერტი ქ. ასპინძაში „მოთაობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით.

1.11.2011 – მ. ბერძენიშვილის სახელობის კულტურის ცენტრ „მუზაში“ ა. ერქომაიშვილის ინიციატივით ანსამბლმა „ბასიანმა“ და ტრიომ „შალვა ჩემო“ ერთობლივი კონცერტი გამართეს.

3.11.2011 – ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა ანსამბლ „თუთარჩელას“ სამი თაობის კონცერტი „მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორი“.

9.12.2011 – ანსამბლმა „რუსთავმა“ გამართა სოლო კონცერტი თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში.

11.12.2011 – ქ. ბათუმში გაიმართა აჭარის სახელმწიფო ანსამბლ „ბათუმის“ საიუბილეო საღამო და კონცერტი.

12.12.2011 – რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა ქალთა ფოლკლორული ანსამბლ „კერიას“ პირველი სოლო კონცერტი.

22.12.2011 – ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა ა. ერქომაიშვილის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ანსამბლები: „ანჩისხატის ტაძრის გუნდი“, „ბასიანი“, „მთიები“, „შაფნაბადა“, „ბალავარი“, „თბილისი“, „იმერი“, „დიდგორი“, „ალილო“, ტრიო „შალვა ჩემო“, სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდი.

ახალი გამოცემები

გ. გოგოტიშვილი. ქართული ხალხური მუსიკის თეორიული საკითხები. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია.

საქველმოქმედო ფონდმა „ხობმა“ გამოსცა:

ე. გარაყანიძე. ქართული მუსიკალური დიალექტები და მათი ურთიერთმიმართება (გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბ., 2011)

ქართული ხალხური მუსიკის უცხოელი მკვლევრები და შემკრებლები (შემდგენელი ნ. ნაკაშიძე, გამომცემლობა „უსტარი“, თბ., 2011)

ნ. კალანდაძე, მ. კვიციანიძე. ტრადიციული მუსიკა ქართულ-აფხაზურ დიალოგში (გამომცემლობა „ტრიასი“, თ., 2011)

ა. ერქომაიშვილი. გზები, ადამიანები, სიმღერები... (გამომცემლობა „უსტარი“, თბ., 2011)

გ. სიხარულიძე. „გორდელა“ (მოგონებები).


კომპაქტ-დისკი „ანზორ ერქომაიშვილი 70“, რომელშიც შესულია 35 სიმღერა

ა. ერქომაიშვილის მონაწილეობით.

მოამზადა მაკა ხარძიანმა

გამოხმაურება ახალ წიგნზე ქართული მრავალხმიანობის შესახებ

„ექო საქართველოდან“



ნოვა საიენს პაბლიშერსმა (Nova Science Publishers), გამოსცა წიგნი „ექო საქართველოდან: ჩვიდმეტი არგუმენტი ქართული პოლიფონიის შესახებ“. იგი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრმა მოამზადა.

ეს არის პირველი ინგლისურენოვანი კრებული, რომელიც მრავალხმიანობაზე აშუქებს ქართულ პოლიფონიას. მისი მიზანია საერთაშორისო საზოგადოებას მიაწოდოს მეცნიერული ცოდნა მოვლენაზე, რომელსაც უკანასკნელ ხანს მსოფლიო საკმაოდ კარგად გაეცნო ქართული ფოლკლორული ანსამბლების საგასტროლო ტურნეების წყალობით. უცხოელთა გაზრდილ ინტერესზე მეტყველებს ქართული მრავალხმიანობის შემსრულებელი ანსამბლების მომრავლება სხვადასხვა ქვეყანაშიც. ალბათ, სწორედ ამით უნდა აიხსნას ამერიკული სამეცნიერო გამომცემლობის დაინტერესებაც ამ თემით.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ შთამბეჭდავია ამ სქელფიანი წიგნის გაფორმება, რომელშიც კარგადაა მინიშნებული ქართული კულტურის არქაულობაც და მისი განუმეორებელი ელფერიც. კრებული შესანიშნავადაა შედგენილი, მასში ავტორების საკმაოდ მრავალფეროვანი სპექტრია წარმოდგენილი. ჩემი აზრით, მის ღირებულებას ისიც ზრდის, რომ ქართული მრავალხმიანობის წარმოშობისა და განვითარების, მისი ფორმების მრავალფეროვნებისა და უნიკალობის შესახებ

მსჯელობენ არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი მეცნიერებიც. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ზიგფრიდ ნადელის წიგნის „ქართული სიმღერა“ ფრაგმენტები, რომლითაც იხსნება კრებული. გერმანელი მკვლევარი პირველი იყო, ვინც დაინტერესდა ქართული მრავალხმიანობის ფენომენით და მიუძღვნა მას სპეციალურ მონოგრაფია (1932, ბერლინი). იგი უცხოელთაგან ასევე პირველი იყო, ვინც ქართული მრავალხმიანობის “თვითნაჩენობა“ (ილია) აღნიშნა. ყურადღებას იქცევს იზალი ზემცოვსკის სტატია „ქართული მოდელი: ეთნოგეომუსიკოლოგიური მიდგომა ზეპირი პოლიფონიის სამყაროსადმი“, რომელშიც ავტორი ქართულ მრავალხმიანობას განიხილავს, როგორც, საზოგადოდ, ტრადიციული მრავალხმიანობის მოდელს, რადგან მასში მრავალხმიანი სიმღერის ყველა ძირითადი ტიპია წარმოდგენილი და რადგან მრავალხმიანობის ფორმების ამგვარი მრავალფეროვნება ისეთ მცირე ტერიტორიაზე, როგორც საქართველოა, მსოფლიოში არსად გვხვდება.

ქართული მრავალხმიანობა ზოგადი და კონკრეტული არგუმენტებითაა წარმოდგენილი წარსულისა და თანამედროვე ქართველ ავტორთა – ივანე ჯავახიშვილის, დიმიტრი არაყიშვილის, შალვა ასლანიშვილის, ვლადიმერ ახოვაძის, გრიგოლ ჩხიკვაძის, მინდია ჟორდანიას, ვალერიან მაღრაძის, ევსევი ჭოსონელიძის, ვლადიმერ გოგოტიშვილის, ედიშერ გარაყანიძის, მანანა შილაკაძის, თამაზ გაბისონიას, ნინო ციციშვილის, იოსებ ჟორდანიას, რუსუდან წურჭუმიას ნაშრომებში. მათში განხილულია ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის ფორმების, ხმათა მოძრაობისა და კილო-ჰარმონიული თავისებურებები სხვადასხვა დიალექტებში, საკრავიერი მუსიკის საკითხები, ქართული მუსიკალური კულტურის ინტერკულტურული ურთიერთობების, ეროვნული იდენტობის პრობლემა და სხვ.

ამ ნაშრომთაგან უმეტესობა ადრეა შექმნილი, მათი ნაწილი სხვადასხვა (არაინგლისურ) ენებზეა გამოქვეყნებული, ნაწილი – ხელნაწერის სახით ინახებოდა თბილისის კონერვატორიის ქართული ხალხური შემოქმედების ლაბორატორიის არქივში, ზოგიერთი კი სპეციალურად ამ კრებულისთვის დაიწერა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია კრებულის გამოცემის აკადემიური დონე – კრებულს ჰყავს ორი რეცენზენტი, მსოფლიო მრავალხმიანობის საყოველთაოდ აღიარებული მკვლევარი ფრანგი სიმჰა არომი და ესპანელი ეთნომუსიკოლოგი პოლო ვალეჰო, რომელთა ვრცელი რეცენზია წიგნის რედაქტორების რუსუდან წურჭუმიასა და იოსებ ჟორდანიას შესავალთან ერთად წინ უძღვის კრებულს.

ადრე გამოქვეყნებულ სტატიებს ახლავს რედაქტორების კომენტარები, ხოლო კრებულის ბოლოს მოცემულია ქართული მრავალხმიანობის ვრცელი ბიბლიოგრაფია, მონაცემები წიგნში წარმოდგენილი ავტორების შესახებ და ინდექსები.

წიგნის შეძენა შესაძლებელია ინტერნეტით, გამომცემლობის საიტზე:

https://www.novapublishers.com/catalog/index.php?cPath=23_318

ვფიქრობ, ეს წიგნი შესანიშნავი საჩუქარია ქართული მუსიკალური კულტურით დაინტერესებული არაქართულენოვანი მკითხველისათვის.

*ნინო ღამბაშიძე,
ისტორიის დოქტორი
თბილისის ივანე ჯავახიშვილის
სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჯავახიშვილის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი*

უცხოური მრავალხმიანობა

პოლო ვალეჰო



ვაგოგოს (ტანზანია) ტომის მრავალხმიანობა

ტანზანიის ცენტრალურ ნაწილში მცხოვრები ვაგოგოს ხალხი არის ერთ-ერთი, დაახლოებით, 113 ეთნო-ლინგვისტური ჯგუფიდან, რომელიც ხასიათდება კულტურული და მუსიკალური მრავალფეროვნებით. სიგოგოს ენაზე მოსაუბრე ეს ხალხი მისდევს მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას; მათი კეთილდღეობა დამოკიდებულია მარცვლეულისა (ხორბალი, სორგო და ფეტვი) და მიწის თხილის მოსავალზე; ასევე წვიმაზე, რასაც ეფუძნება მათი მატერიალური ცხოვრება. მათი მუსიკა თანაარსებობს ყოველდღიურობასთან, ამიტომ ვაგოგოს ყოფის არც ერთი მომენტი არ არსებობს მუსიკის გარეშე, ისე, როგორც ეს ხდება უმეტეს აფრიკულ ტომებში, სადაც მუზიცირებას აქვს არა ესთეტიკური, არამედ ეთიკური მოტივები.

ვაგოგოს ხალხის თავისებურება კარგად ჩანს, ერთი მხრივ, ხალხის გართობის მომენტებში, როდესაც კოლექტიური მღერის საშუალებით ისინი უზიარებენ ერთმანეთს ემოციებს და, მეორე მხრივ, მაკუმბის რიტუალის დროს (როდესაც ხდება სიყმაწვილიდან მოწიფულობაში გადასვლა), მაშინ, როდესაც ტომი ზემოთ აღნიშნავს კარგ მოსავალს. მრავალხმიანობის თვალსაზრისით, მიწათმოქმედების პერიოდთან (იფუკ) უშუალოდ დაკავშირებული რეპერტუარი გაცილებით



ვაგოგოს ტომი ემბეში (დოდომას რეგიონი)
© Polo Vallejo, 2006

კომპლექსურია: იყენებენ პოლიფონიის ისეთ ტიპს, რომელიც შედგება მრავალხაზოვანი ტექნიკის სხვადასხვა სახეების კომბინაციებისაგან. ამ თუ იმ ვითარებაში, რიტუალსა და დასვენებას შორის მუსიკა ხდება სოციალური ერთობის არსებითი ფაქტორი. მათი მუსიკის პოლიფონიური კონცეფციის თვალსაზრისით, საინტერესოა იმის ცოდნა, რომ ვაგოგოს ლექსიკაში განსხვავდება უბრალოდ „სიმღერა“ – *კვიმბა* (მიუხედავად იმისა, იდენტურია თუ არა ორი ან მეტი ხმის რიტმული არტიკულაცია) და „პოლიფონია“ – *სილუმი* (განაწილება), ასე ვთქვათ, რიტმულად დამოუკიდებელი ვოკალური ხაზების ზემოთ აწევა სემანტიკური მნიშვნელობის არმქონე მარცვლების გამოყენებით.



ვაგოგოს ბავშვები მაკუმბის ინიციაციის რიტუალის დროს. © Polo Vallejo, Nzali 2007

ვაგოგოს რეპერტუარში ერთ-ერთი ყველაზე რთულია *სიპანდე* – „ნაწილი“, „ფრაგმენტი“, რაც სიმბოლურად აღნიშნავს ნიამლუხის ინიციაციის მონაწილე ბიჭუნების წინდაცვეთის დროს მოკვეთილ კანს. *სიპანდე* სიმღერები სრულდება ა კაპელა, მხოლოდ ძროხის ეჟვანის *ნდოდოლოს* ან *კაიამბას* (მარაკა) აკომპანიმენტით. სოციალურად ის 3

მიზნით სრულდება: 1. ზოგადად ნაყოფიერების გასახსენებლად და გამოიყენება, როგორც შეტყობინება წინდაცვეთის წინა დამეს;

2. გასართობად, როგორც ქალის მიერ საქმროს არჩევის პაროდია;

3. გამოიყენება ტკივილის შესამსუბუქებლად წინდაცვეთის დროს კანის მოკვეთის მომენტში.

ბოლო მიზნის მისაღწევად მამაკაცები წრეს შემოარტყამენ წინდაცვეთისთვის გამზადებულ ბიჭს და *ჰონო ნდუელეს* (ანტილოპის რქა) გამაფრთხილებელი ნიშნის შემდეგ ბიჭისკენ მიმართავენ ხმებს, სწორედ მაშინ, როცა მამაკაცები ასრულებენ *სიპანდეს* (ოსტინატოს, კანონისა და ჰოკეტის კომბინაცია) მრავალხმიან მონაკვეთს. გარეთ სარიტუალო ადგილთან, *იკუმბისთან* ახლოს ქალები ხმაშეწყობით პარალელურად ასრულებენ სიმღერის დასაწყისს.

ამგვარი მრავალხმიანი შესრულებით მიღებულ პოლიფონიურ კომპლექსურობას ვაგოგო იყენებს ტკივილის შესამსუბუქებლად წინდაცვეთის დროს. *სიპანდეს* რეპერტუარში სემანტიკური ან მნიშვნელობის არმქონე სიტყვები და სოციალური გარემო ურთიერთქმედების უმაღლეს წერტილს აღწევენ და ქმნიან მუსიკალური ტექნიკისა და სოციალური ფუნქციის სიმბიოზს. აქედან წარმოიშვა აზრი იმის შესახებ, რომ ის, რაც ემოციურად მნიშვნელოვანია ვაგოგოს ხალხისთვის, მუსიკალურადაც მნიშვნელოვანი უნდა იყოს. სწორედ ამით აიხსნება ვაგოგოს ხალხის მიერ მრავალხმიანი სიმღერის გამოყენება ამ რიტუალის დროს.

*პოლო ვალეჰო
მუსიკოლოგიის დოქტორი,
პედაგოგი და კომპოზიტორი,
მადრიდის კომპლუტენს უნივერსიტეტის
ეთნომუსიკოლოგიის ასოცირებული
პროფესორი*

ერთი უცხოური ხალხური ანსამბლი

კორსიკული ანსამბლი „სპარტიმუ“



კორსიკული მრავალხმიანი სიმღერები პირველად მოვისმინე საქართველოში, 1980-იან წლებში. ჩემთვის, ისევე როგორც ბევრი ქართველისთვის, ეს ნამდვილად იყო აღმოჩენა. საბჭოთა კავშირის ცენტრალური ტელევიზიის ეთერში დოკუმენტური ფილმის ჩვენების შემდეგ კორსიკული სიმღერა ერთ დამეში ნამდვილი სენსაცია გახდა. საქართველოში, რომელიც ეთნომუსკოლოგებისა და, ზოგადად, საზოგადოებისთვის ცნობილია, როგორც მრავალხმიანი სიმღერის ქვეყანა. განსაცვიფრებელია კორსიკული სიმღერის მსაგავსება აღმოსავლეთ საქართველოს სუფრულ სიმღერებთან – გაბმული ბანის ფონზე თავისუფალ მეტრში ორი ხმის იმპროვიზაციით გალამაზებული მელოდია. როგორც ერთმა ჩემმა კოლეგა მუსიკისმცოდნემ მითხრა, ის თავიდან სკეპტიკურად იყო განწყობილი ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის ჩემი შედარებითი კვლევის მიმართ (ქართული მრავალხმიანობა ჩვეულებრივ განიხილებოდა, როგორც უნიკალური მოვლენა, რომელსაც არ ჰქონდა კავშირი სხვა რომელიმე მრავალხმიან კულტურასთან), მაგრამ კორსიკული სიმღერის მოსმენის შემდეგ მან აზრი შეიცვალა.

დაახლოებით ოცი წლის შემდეგ, 2008 წელს, კორსიკაში ჩემი სტუმრობის დროს აღმოვაჩინე, რომ ქართული მრავალხმიანობის პირველ მოსმენას კორსიკელებზე ასეთივე ძლიერი მუსიკალური შთაბეჭდილება მოუხდენია. როგორც მახსოვს, ლეგენდარული ჯგუფის „ვოჩე დი კორსიკას“ („კორსიკის ხმა“) წევრმა ფილიპ როჩიმ მითხრა, რომ მას ჯერ კიდევ მკაფიოდ ახსოვდა სად, როდის და ვისგან მოისმინა პირველად ქართული ტრადი-

ციული მრავალხმიანობა, მიუხედავად იმისა, რომ ეს თითქმის 40 წლის წინ იყო.

კვლევისათვის ძალიან საინტერესო საკითხია, თუ რატომ არის ასეთი ახლო კავშირი ისეთ დაშორებულ კულტურებს შორის, როგორცაა ქართული და კორსიკული. მინდა ვთქვა, რომ საქართველო და კორსიკა ერთადერთი შემთხვევა არაა მრავალხმიანი სტილების მსგავსების თვალსაზრისით. იგივე შეიძლება ითქვას ლატვიისა და ტიბეტის ან ბულგარეთისა და ინდონეზიის, ლიტვისა და ნურისტანის მრავალხმიან სიმღერაზე. მე-20 საუკუნის ცნობილი ეთნომუსიკოლოგი იაპ კუნსტი ისე მოიხიბლა ბალკანეთის მთიანეთისა და ინდონეზიის მუსიკალური პარალელებით, რომ სპეციალური ნაშრომიც კი მიუძღვნა შესაძლო ისტორიულ კავშირებს ამ ორ, ერთმანეთისგან დაშორებულ რეგიონს შორის. პოლიფონიური კულტურების შედარებით კვლევას მე შევეხე ჩემს ორ ნაშრომში (1989, 2006). კვლევამ დამმარწმუნა, რომ დაშორებული კულტურების ტიპოლოგიური სიახლოვე საშუალებას გვაძლევს ახლებურად შევხედოთ და ახალ ჭრილში განვიხილოთ მრავალხმიანობის წარმოშობის პრობლემა.

მინდა ავლნიშნო, რომ მრავალხმიანობის წარმოშობაზე საყოველთაოდ მიღებული მოსაზრება არ ემყარება არც ერთ ფაქტს. პირიქით, მის თანახმად, გუნდური სიმღერა ადამიანური კულტურის ძალიან ძველი ელემენტია (მაგ. კურტ სახი, ანა კილმერი და ჰანს ჰეკმანი ფიქრობენ, რომ მრავალხმიანობა ჰქონდათ შუმერებს, ხურიტებსა და ძველ ეგვიპტელებსაც კი). ჩემი აზრით, ადამიანის გუნდური მრავალხმიანობის შესწავლა შესაძლოა დაგვეხმაროს, ახლებურად შევხედოთ ისეთ პრობლემას, როგორცაა პოლიფონიის წარმოშობა.

მრავალხმიანი სიმღერის კიდევ ერთი საინტერესო ასპექტია ის, რომ იგი გავრცელებულია მსოფლიოს ბევრი რეგიონის იზოლირებულ და რელიქტურ გეოგრაფიულ ადგილებში (მაგალითად კავკასიის მთიანეთში, ალპებში, პირინეებზე, ბალკანეთში, ტიბეტსა და ანდებში), კუნძულებზე (კორსიკა, სარდინია, სიცილია, ჰოკაიდო, პოლინეზია და მელანეზია) ან დიდი ტყის მასივებში (მაგ. ცენტრალური აფრიკის ტროპიკული ტყეები, აღმოსავლეთ ევროპის ჭაობიანი პოლესიე და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ტყიანი მთები.)

მიუხედავად იმისა, რომ პატივცემულმა ფელიქს კულინიმ 1940-50-იან წლებში ჩაიწერა კორსიკელი მწვემსების მდიდარი რეპერტუარი, ეთნომუსიკოლოგების უმრავლესობა კორსიკული მრავალხმიანობის შესწავლით საკმაოდ გვიან დაინტერესდა. მაგალითად, მარიუს შნაიდერი 1969 წელს გამოცემული ნაშ-

რომის „მრავალხმიანობის ისტორიის“ მეორე ტომში საერთოდ არ ახსენებს კორსიკულ მრავალხმიანობას. შესაძლოა, უცნაურად უღერდეს, მაგრამ აფრიკული მრავალხმიანობის არსებობის შესახებ ეთნომუსიკოლოგებმა რამდენიმე ათწლეულით ადრე იცოდნენ, ვიდრე კორსიკული ან ალბანური მრავალხმიანობის შესახებ.

როდესაც კულიჩიმ და მოგვიანებით ვოლფგანგ ლადემ ჩაიწერეს კორსიკელი მწვემსების სიმღერა, ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ეს იყო მომაკვდავი ტრადიცია. შემიძლია დავადასტურო, რომ ვოკალური მრავალხმიანობა მსოფლიოს ბევრ კულტურაში მთლიანად გაქრა. საბედნიეროდ, კულიჩისა და ლადეს პესიმისტური წინასწარმეტყველება არ გამართლდა. პირიქით, 1970-იანი წლებიდან კორსიკული ეროვნული კულტურის მიმართ დამოკიდებულების შეცვლა გახდა კორსიკული კულტურული იდენტობის სიმბოლო. სტატუსის ასეთ ცვლილებას ესაჭიროებოდა კორსიკული ტრადიციული მრავალხმიანობის ძლიერი ფინანსური და მორალური მხარდაჭერა. გაჩნდა ახალი ანსამბლები, ხელმისაწვდომი გახდა კორსიკული სიმღერების ჩანაწერები. ჯგუფები წარმატებით ჩნდებოდნენ საერთაშორისო არენაზე, ასრულებდნენ კორსიკულ მრავალხმიანობას და უცხოელებსაც ასწავლიდნენ.

მიუხედავად თავისი მდიდარი საგუნდო უღერადობისა და მრავალხმიანი სიმღერის შესრულების უდავო ოსტატობისა, ანსამბლი „სპარტიმუ“ შედარებით ახალგაზრდა კოლექტივია. ჯგუფის სახელწოდება კორსიკულად ნიშნავს - „მოდით, გავიზიაროთ“. როგორც ფრედერიკ ვესპერინი - „სპარტიმუს“ ხელმძღვანელმა მითხრა, ჯგუფის წევრებს მიანიათ, რომ სხვადასხვა კულტურების მიერ მემკვიდრეობების გაზიარებას უდიდესი ძალა აქვს. 2008 წელს „სპარტიმუ“ მონაწილეობა მიიღო ტრადიციული მრავალხმიანობის თბილისის მე-4 და მე-5 საერთაშორისო სიმპოზიუმებში, რის შემდეგაც მათი ინტერესი ქართული მრავალხმიანობის მიმართ კიდევ უფრო გაიზარდა.

*იოსებ ჟორდანიას,
მელბურნის უნივერსიტეტის
პროფესორი*



რუბრიკის სტუმარია მგალობელ გოგონათა გუნდი „იალონი“. გვესაუბრება ანსამბლის ხელმძღვანელი **ნინო ნანეიშვილი**, რომელიც ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკოლოგიის მაგისტრი გახლავთ (საეკლესიო მუსიკის მიმართულებით).

ანსამბლი „იალონი“ 2009 წლის მარტის თვეში ჩამოყალიბდა. ეს სახელი დაკავშირებულია ალიონთან (დასავლურ ქართულ კოლოკაზზე) და, ვფიქრობ, ამ სიტყვის უღერადობა და შინაარსი შეესაბამება ჩვენს საქმიანობას, ვინაიდან ქართული გალობა, მისი სული და ბუნება ძალიან წააგავს ახალი დღის გათენებით მოტანილ მადლს, მზის შუქის მოფენას. გარდა ამისა, ვფიქრობთ, რომ ჩვენი, როგორც ანსამბლის საქმიანობაშიც ჯერ გარიჟრაჟია მხოლოდ.

გუნდი ამ ეტაპზე შედგება რვა წევრისაგან, რომელთა უმეტესობაც პროფესიით მუსიკოსია.

საქართველოში ქალთა გუნდები, მით უფრო, სამგალობლო, ცოტაა. ეს პარადოქსია, რადგან, ისეთი მუსიკალური კულტურის მემკვიდრე ქვეყანაში, როგორც საქართველოა, ვფიქრობ, დიდი და პატარა, ქალი და კაცი უნდა მღეროდეს და გალობდეს. დღეს ამ დეფიციტს სხვადასხვა მიზეზი აქვს... ჩემთვის ყველაზე გულსატკენი ის ფაქტია, რომ ტაძრების უმრავლესობაში მგალობელ ქალთა გუნდები მსახურობენ, მაგრამ ხარისხი ძალიან სავალალოა და სრულიად შეუსაბამო იმ მუსიკალურ შედეგებთან, რისი შესრულების საშუალებაც, საბედნიეროდ, უკვე არსებობს. სასიხარულოა, რომ თანდათან მიმდინარეობს ტრადიციული სამგალობლო

რეპერტუარის აღდგენა, მაგრამ ეს საქმის ნახევარია, თუ ამას არ მოჰყვა შესაბამისი და საკადრისი პროფესიული დამოკიდებულება და მომზადება.



„იალონს“ რაც შეეხება, გუნდის ჩამოყალიბების იდეა საქართველოში არსებულმა რეალობამ განაპირობა. როდესაც ტაძარში დგახარ და ეცნობი საოცარი სულიერებით აღბეჭდილ, მაღალმხატვრულ ნიმუშებს, ხედვები, რომ შეუძლებელია ამ დონის ღოცვისა და მუსიკის სინთეზის გათავისება და შესრულება დიდი დროის, ენერჯის, პროფესიული მომზადების გარეშე. ამის გააზრების შემდეგ, აღმძვრა უდიდესი სურვილი მეგალობა ისეთ ადამიანებთან, რომლებთან ერთადაც შეუძლებელი რეპერტუარის თანდათან გაფართოებას, შესრულების ხარისხის გაუმჯობესებას. ნელ-ნელა გამოიკვეთა ამის შესაძლებლობა და ღვთის ნებით მოხდა „იალონის“ შემადგენლობის თავმოყრა.

რეპერტუარის ძირითად წყაროდ ქართული ტრადიციული გალობის სანოტო ხელნაწერებს (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) და საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრის გამოცემებს ვიყენებთ.

რაც შეეხება ჩვენი მუშაობის ფორმას, ვფიქრობ, ყველა შემოქმედებითი კოლექტივისთვის უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტია რეპეტიციები, მათი ხარისხი და ინტენსივობა. აქ ხდება გუნდის წევრების მონაცემების, შემოქმედებითი უნარების, თავისებურებების უკეთ შესწავლა, ფუნქციების გადანაწილება და ა.შ. ჩვენს შემთხვევაში, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ერთად გალობა ღვთისმსახურებებზე. ამ პროცესში სულ სხვა უნარები იჩენს თავს და მათი შეჯერებით ხდება შესაძლებელი გუნდის მომავალი გეგმების დასახვა.

„იალონი“ ქართველი მსმენელის წინაშე ორი სოლო კონცერტით წარსდგა. ინტენსიურად ემონაწილეობთ ასევე ქართული სიმღე-

რა-გალობის საღამოებში, თუმცა, ჯერჯერობით, საქართველოს ფარგლებში.



გარდა ჩვენს მიერ ორგანიზებული ღონისძიებების და ჩაწერებისა, ჩართული ვართ სხვადასხვა პროექტში. მაგალითად, ნანა ჯანელიძის ფილმისათვის „გალობის რაინდები“ ჩაწერეთ რამდენიმე საგალობელი, რომელიც კომპაქტდისკის სახით გამოიცა (2009). 2010 წლის მიწურულს პოლონეთის საელჩოს ორგანიზებით ანსამბლ „ისონთან“ და რამდენიმე მუსიკოსთან ერთად ჩაწერეთ პოლონური საშობაო სიმღერა-საგალობლების კომპაქტდისკი.

„იალონს“ გამოცემული აქვს ორი სოლო კომპაქტდისკი. პირველში შესულია ყოველდღიური ღმრთისმშობლის საგალობლები (გელათის სკოლა) (2010წ). მეორეში კი – ბოლო სოლო კონცერტზე (31.01.2011) წარმოდგენილი პროგრამა – დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო კილოს საეკლესიო რვა ხმის საგალობლები „ღმერთი უფალი“ და აღდგომის ტროპრები. წარმოდგენილი მასალა, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს მეგალობელთა გუნდების მიერ რვა ხმის საგალობლების შესწავლას (მით უმეტეს, რომ გელათის სკოლის საგალობლები გამოცემულია სასწავლო მიზნით, ცალ-ცალკე ხმებად).

მომდევნო ეტაპზე გვსურს განვაგრძოთ კვლავ რვა ხმის სისტემის საგალობლებზე მუშაობა (უფალო ღაღად ვეავ, აწ განუტევე...). ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ქართული ტრადიციული საგალობლების პოპულარიზაცია საკონცერტო საღამოების მოწყობით, როგორც თბილისში, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. ასეთი ღონისძიებები მეტად გააღვივებს ინტერესს და გააღვივებს იმ მიძინებულ გენეტიკურ მეხსიერებას, ცოდნის მოყვარებას, სიბრძნესა და რწმენას, რამაც ჩვენს წინაპრებს ამგვარი სულიერი, მხატვრული ღირებულების შედევრების შექმნა შთააგონა.

შვედური ანსამბლი „დოლური“

ძუკუ ლოლუა
(1877-1925)



ანსამბლი „დოლური“ დაარსდა 1995 წელს იოჰან ვესტმანის მიერ. 1996 წელს ჯგუფმა პირველად იმოგზაურა საქართველოში შვედურ-ქართული საზოგადოებისა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დახმარებით, აქედან დაიწყო „დოლურის“ მეგობრობა ანსამბლებთან „თბილისი“ და „გეორგია“. იოჰან ვესტმანის ნორვეგიაში გადასვლის შემდეგ ჯგუფს ხელმძღვანელობდა იენს მოლერი.

2001 წელს „დოლურმა“ კიდევ ერთხელ იმოგზაურა საქართველოში, სადაც ჩაატარა კონცერტები და შედგა მისი დებიუტი საქართველოს ტელევიზიით. მას შემდეგ ანსამბლის წევრები საკუთარი ინიციატივით დროდადრო სტუმრობდნენ საქართველოს პატარა ჯგუფებად. „დოლურის“ რეპერტუარში არის საქართველოს ყველა კუთხის სიმღერა. ამჟამად ჯგუფის წევრები არიან: იოჰან ვესტმანი, იენს მოლერი, ანდერს რიმპი, კალე სტინცინგი, მარკუს ალბერგი, ევტიხი გაბუნია, ფანი უმარეუსი, ერიკ რუში, მატს ჰულანდერი და სტეფან სანდსტრომი. თუმცა ჯგუფის კონცერტებში ანსამბლის ყოფილი წევრებიც ხშირად იღებენ მონაწილეობას.

იენს მოლერის ბრიუსელში გადასვლის შემდეგ ანსამბლში დემოკრატიული მმართველობაა და ფაქტობრივად ყველა წევრი ხელმძღვანელია. გარდა „თბილისთან“ და „გეორგიკასთან“ თანამშრომლობისა, „დოლურის“ წევრებმა ქართული ხალხური სიმღერები შეისწავლეს ანსამბლ „ანჩისხატისგან“, ვაჟა გოგოლაძისგან, ისლამ და ვახტანგ ფილფანებისგან. „დოლური“ აპირებს მონაწილეობა მიიღოს ტრადიციული მრავალხმიანობის თბილისის მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმში. ამჟამად ჯგუფი ხშირად მონაწილეობს შვედეთში გამართულ სხვადასხვა სახის კონცერტებსა და ღონისძიებებში.

ლეგენდარული ლოტბარი და მომღერალი, ლოტბარ-მომღერალთა მთელი თაობის აღმზრდელი, ხალხური სიმღერების შემგროვებელი და პოპულარიზატორი, მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე ძუკუ (პორფილე) ლოლუა დაიბადა სოფელ ქვალონში (ხობის რ-ნი), დარბი აზნაურის ოჯახში. საეკლესიო მწიგნობრობისა და გალობის დაუფლების შემდეგ ძუკუ ლოლუა მშობლიურ მხარეში მედავითნედ გაამწესეს. გამორჩეული სმენისა და ლამაზი ხმის წყალობით მას მთელ სამეგრელოში იცნობდნენ, ხოლო მომღერალთა გუნდის ჩამოყალიბებისა და საკონცერტო ტურნეს მოწყობის შემდეგ 19 წლის ჭაბუკი ნიჭიერ ლოტბარადაც აღიარეს.

1897–1898 წლებში ძუკუ ლოლუა თავისი ახლადდაარსებული მეგრულ მომღერალთა გუნდით აფხაზეთში ჩავიდა. ამიერიდან მისი მოღვაწეობა აფხაზეთს უკავშირდება.

1903 წელს, ილია ჭავჭავაძის პატივსაცემად გამართულ ნადიმზე, რომელიც სოხუმის მოწინავე საზოგადოებამ შარვაშიძეების კარმიდამოში გამართა, ძუკუ ლოლუას ანსამბლს აფხაზეთი და საქართველოს სხვა კუთხეების სიმღერებით და იშვიათი ცეკვებით დაუმშვენებია სუფრა.

1904 წლიდან კი ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თხოვნით ძუკუ ლოლუა სოხუმში საცხოვრებლად გადავიდა. აფხაზეთის გარუსების პოლიტიკის შედეგად შესუსტებული ეროვნული

მუხტის გასაღვივებლად ძუკუ ლოლუას დიდი ხალხური გუნდის ჩამოყალიბება სთხოვეს. აქედან იწყება მის ბიოგრაფიაში 15 წლიანი სალოტბარო მოღვაწეობის პერიოდი აფხაზეთში.

პირველ ქართულ-აფხაზურ გუნდს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არა მარტო ტრადიციული მუსიკის შემსრულებლობის, არამედ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ისტორიაში. გუნდში აფხაზები, მეგრელები, იმერლები, გურულები, სვანები, სხვადასხვა ასაკისა და სოციალური ფენის წარმომადგენლები გვერდიგვერდ მღეროდნენ. ძუკუ ლოლუამ სავსებით სწორად აირჩია ის საშემსრულებლო მიმართულება, რომელიც სცენაზე ფოლკლორის სინკრეტული ბუნების წარმოჩენას გულისხმობდა: გუნდის წევრები სხვადასხვა საკრავებზე უკრავდნენ და ცეკვავდნენ. ამ გუნდმა პირველმა გამოიტანა სცენაზე აფხაზური საკრავები აფხიარცა, აჭარპანი, აიუმაა, სვანური ჭუნირი და ჩანგი, მეგრული ჩონგური და იმერული დაირა. რეპერტუარის შერჩევისას აფხაზურს და საქართველოს სხვა კუთხის ნიმუშებს თანაბარი ადგილი ეთმობოდა.

ძუკუ ლოლუამ სიმღერის თეატრალიზაციის ხერხს მიმართა, ის სცენაზე ვრცელ თეატრალურ კომპოზიციებს ქმნიდა, რასაც აფხაზები თავისი თეატრის სათავედ მიიჩნევენ.

პირველი ქართულ-აფხაზური გუნდის პრეზენტაცია 1904 წლის 25 სექტემბერს შედგა. ეს თარიღი აფხაზეთში საგუნდო საქმიანობის საწყისად ითვლება.

ძუკუ ლოლუას სოხუმში ოთხი გუნდი დაუარსებია: I – 1904 წელს; II – 1911 წელს; III – 1912 წელს და IV – 1919 წელს. გარდა ამისა, ცნობილია, რომ ლოტბარს მუშათა რამდენიმე სასიმღერო კოლექტივიც ჩამოუყალიბებია სოხუმსა და სოჭში.

ძუკუ ლოლუამ საგუნდო საქმიანობა აფხაზეთში ავთენტიკური შემსრულებლობის გზით წარმართა. მის მიზანს ხალხური ნიმუშის უცვლელად შესრულება, სამუშაო მეთოდს კი სიმღერის ზეპირი გზით შესწავლა წარმოადგენდა. მართალია, ქართული ტრადიციული შემსრულებლობისათვის უცხო მოვლენა იყო მრავალრიცხოვანი (ზოგჯერ 80-კაციანი) გუნდი ზედა ხმების ჯგუფური შესრულებით, მაგრამ, დროის, ადგილისა და გარემოებათა გათვალისწინებით, ეს ფაქტიკრიტიკის საგანი არ გამხდარა. ეროვნული მუსიკალური ჰანგების, საბოლოო ჯამში კი ეროვნული კულტურის გადარჩენისათვის ბრძოლაში ძუკუ ლოლუამ ათასობით ადამიანი ჩააბა. შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთში ხალხური მუსიკის შემსრულებლობა მთლიანად ქართულ-აფხაზური გუნდიდან ამოიზარდა.

1917-1918 წლებში ძუკუ ლოლუამ თავისი ეთნოგრაფიული გუნდები თბილისშიც ჩამოიყვანა და ფართო საზოგადოებას გააცნო. ამის შემდეგ მკვიდრდება აფხაზური ნიმუშები ქართულ საშემსრულებლო პრაქტიკაში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მათ გავრცელებას მთელ საქართველოში. გარდა ამისა, გუნდის წევრებს, შემდგომში ცნობილ ლოტბარებს – კიწი გეგეჭკორს, კირილე პაჭკორიას, ვანო კოზმავას, მაქსიმე ანუას, ძლიკი ძიაფშიფას, რემა შელეგიას, პლატონ ფანცულაიას თავიანი გუნდების რეპერტუარშიც შეჰქონდათ ძუკუ ლოლუს მიერ სცენაზე გამოტანილი აფხაზური სიმღერები. ესენია: „აყიში“, „აზარი“, „დაჭრილის სიმღერა“, „საცეკვაო“, „ლიღინი“, „შარათინი“ და მრავალი სხვა.

მომდევნო წლებში ძუკუ ლოლუა აფხაზეთში აღარ მოღვაწეობდა, მაგრამ ამ კუთხის სიმღერებს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მისი გუნდების რეპერტუარში, რაც ხელს უწყობდა აფხაზური კულტურის პოპულარიზაციას.

სოხუმში ყოფნის პერიოდში ძუკუ ლოლუა შემოქმედებით მოღვაწეობას აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას უთავსებდა. მან გახსნა ქალაქში პირველი წიგნის ფარდული სამკითხველოთი, მისი თაოსნობითა და ადგილობრივ მოღვაწეთა დახმარებით აღიძრა ფილარმონიული საზოგადოების დაარსებისა და სამუსიკო სკოლის ჩამოყალიბების საკითხი. 1919 წელს ქართული სამუსიკო საზოგადოების კოლეგიამ სწორედ ძუკუ ლოლუას თხოვნით მიაგვლინა სოხუმში ცნობილი მოღვაწე ზაქარია ჩხიკვაძე, რომელმაც ჩამოაყალიბა ამავე საზოგადოების აფხაზეთის განყოფილება. სამუსიკო სკოლის დაარსება კი 1921 წელს მოხერხდა.

ძუკუ ლოლუამ არამარტო პრაქტიკულად, არამედ თეორიულადაც შეისწავლა აფხაზური ფოლკლორი და მას ორი წერილი მიუძღვნა: „აფხაზეთის მუსიკა“ და „პატარა საუბარი აფხაზთა სახალხო მუსიკისა და სიმღერების შესახებ“.

ძუკუ ლოლუა ნამდვილი ლიდერი იყო არა მარტო ხელოვნების სფეროში: 1918 წელს თურქების შემოსევის დროს მან მეგრულ-აფხაზთა 130 კაციანი რაზმი შეკრიბა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად ბათუმში ჩაიყვანა.

ძუკუ ლოლუას ნიჭიერება, ინტერესთა მრავალფეროვნება, შემოქმედებითი აქტიურობა და პატრიოტული სული მას ჭეშმარიტად დიდი საზოგადო მოღვაწეების გვერდით აყენებს.

*მარინა კვიცინაძე
ზ. ფალიაშვილის სამუსიკო
გიმნაზიის პედაგოგი*

ძველი პრესის ფურცლებზე

ქართული ხალხური საგუნდო მუსიკის ისტორიისათვის



ქართველმა ხალხმა თავისი მუსიკალური ნიჭი და შემოქმედებითი უნარი უმეტესად სასიმღერო ხელოვნების დარგში გამოავლინა.

ისტორიული და ლიტერატურული წყაროებით ირკვევა, რომ ხალხური სიმღერის სათავეებს მივყავართ ათასეული წლების სიღრმეში. ქართველმა ხალხმა ჯერ კიდევ შორეულ საუკუნეებში გამოიმუშავა მტკიცე მუსიკალური ტრადიცია და შექმნა ფრიად ორიგინალური მრავალხმიანობა, რაც საფუძვლად დაედო ქართული ხალხური საგუნდო კულტურის ადრინდელ განვითარებას.

ქართველ ხალხში ძველთაგანვე ჩაისახა ჰარმონიულ-პოლიფონიური აზროვნება, რამაც მძლავრი ბიძგი მისცა მრავალხმიანობის წარმოშობას და ეროვნული კულტურის აღმავლობის პარალელურად, მის შემდგომ განმტკიცებასა და თანდათანობით განვითარებას. მრავალხმიანობა ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ქვაკუთხედი, ხოლო გუნდური ერთხმიანობა – მისი ისტორიული წარსული.

ქართველმა ხალხმა დღემდე შემოინახა რამდენიმე ნიმუში გუნდური ერთხმიანობისა, რომელსაც ვხვდებით უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების (კერძოდ, თუშ-ფშავ-ხევსურების), აგრეთვე მესხურ და ლაზურ მუსიკალურ ფოლკლორში.

ქართული საგუნდო კულტურის საწყისების გამორკვევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღმოსავლეთ საქართველოში შემონახულ ორხმიან სიმღერებს. ესენია: საკულტო-საწესო („დიდება“, „მზე შინა“, „ზარი“, „იავ-ნანა“) შრომის („ჰერიო“, „ჰერიეა“) და საფერხულო სიმღერები („ნანავდა“, „მუმლი მუხასა“, „სათამაშო“).

საკულტო-საწესო სიმღერები სრულდება ერთი მოქმედის, ან ერთიმეორის შენა-

ცვლებით, ორი მოქმედის მიერ გუნდის ფონზე, რომელიც გაბმულ ბანს შეუსმობს.

შრომისა და საფერხულო სიმღერებში რიტმის გამახვილება გავლენას ახდენს ბანზე, რომელიც საკულტო სიმღერების საორგანო პუნქტისაგან განსხვავებით, როგორც რიტმულად, ისე ინტონაციურად მოძრავი ხდება და *basso ostinato*-ს ქმნის.

როგორც დღემდე ჩაწერილი ფოლკლორული მასალის შესწავლამ დაგვარწმუნა, ორხმიანობის ეს ორი ძირითადი სახე წარმოადგენს ქართული ხალხური ორხმიანი საგუნდო კულტურის მთავარ საფუძველს.

ამასვე ვამჩნევთ მეგრულ მუსიკალურ ფოლკლორში, სადაც წარმოდგენილია ორხმიანობის მხოლოდ პირველი სახე – სოლისტი გაბმული ბანის თანხლებით.

მუსიკალური სტრუქტურის მხრივ განსხვავებულ ორხმიანობას ვხვდებით აჭარულ სასიმღერო შემოქმედებაში. აქ ორი ხმა პოლიფონიურად არის შეფარდებული. შეიძლება ითქვას, რომ ორხმიანობის აჭარული ნიმუშები ქართველი ხალხის განვითარებული მუსიკალური აზროვნების პროდუქტია.

ქართველმა ხალხმა თავის მეხსიერებაში დღემდე შემოინახა რამდენიმე სიმღერა, ორხმიანობის მეტად პრიმიტიული ნიმუში, რომელიც ქართული ხალხური მრავალხმიანობის ჩანასახს, დასაბამს, მისი ჩამოყალიბების ადრინდელ საფეხურს უნდა წარმოადგენდეს. ასეთ ორხმიანობას ვხვდებით ხევსურულ მუსიკალურ ფოლკლორში („ხუთშაბათ გათენდება“). აქ ბანი ერთეულ სიმღერის ყოველი მუხლის დასასრულს უნისონში, რომელიც ტონიკას წარმოადგენს, ამიტომ ჰარმონიის შეგრძნება ვერ არის ჯერ კიდევ ნათლად გამოძღვანებული.

ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში მთავარი ადგილი უჭირავს სამხმიანობას, რომელიც გამოხატავს ქართველი ხალხის ცხოვრების ყოველ მხარეს. სწორედ სამხმიან სიმღერებში გამოავლინა ქართველმა ხალხმა თავისი მუსიკალური ნიჭი, შექმნა ეროვნული სასიმღერო შემოქმედების კლასიკური ნიმუშები. შორეული საუკუნეებიდან მომდინარე საინტონაციო პრაქტიკამ და მუსიკალური ტრადიციების უსაზღვრო მრავალფეროვნებამ განაპირობა ქართული საგუნდო ხელოვნების ფართო განვითარება და მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა.

ქართული ხალხური სამხმიანობისათვის დამახასიათებელია ჟანრებისა და ფორმების დიდი ნაირსახეობა. ჟანრების მიხედვით შეიძლება გამოვყოთ შრომის, საგმირო, საწესო, საყოფაცხოვრებო, მგზავრული, სუფრული, სატრფიალო, ღირიკული, საღაშქრო, საცეკვაო, საფერხულო, სახუმარო და სხვა სიმღერები. ფორმის მხრივ ვხვდებით როგორც

სტროფულ, ისე ფართოდ გაშლილ-განვითარებულ სამხმთან სიმღერებს.

ნაირფეროვნებას იძლევა ასევე სიმღერის მუსიკალური აღნაგობისა და ხმათაშორის ურთიერთდამოკიდებულების სხვადასხვაობა, აგრეთვე, თითოეული ხმის მონაწილეობა სიმღერის მხატვრული სახის შექმნაში.

აღნიშნული ნიშნების მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს სასიმღერო შემოქმედებაში უმთავრესად შემდეგი ჯგუფის სამხმთან საგუნდო ნიმუშებს ვხვდებით: 1. განაპირა ხმები ოქტავაში მოძრაობენ, ხოლო მელოდია მეორე ხმას მიჰყავს; 2. ძირითადი მელოდია ზევითა ხმას მიჰყავს. მეორე ხმა უმთავრესად ტერციულ შეფარდებაშია; 3. სიმღერის წამყვანი პირველი ხმაა, მაგრამ მეორე ხმაც დამოუკიდებელ მელოდიურ ქარგას ქმნის და პირველთან პოლიფონიურ შეხამებას იძლევა; 4. ორი ზევითა ხმა ხან ერთიმეორის შენაცვლებით, ხან პარალელური მოძრაობით ავითარებს სიმღერას. ბანი ოთხივე შემთხვევაში ასრულებს ჰარმონიულ ფუნქციას და უმთავრესად საორგანო პუნქტს წარმოადგენს. აქვე აღვნიშნავთ, რომ სამხმთან სიმღერაში დამწყებად, უპირატესად, მეორე ხმაა მიჩნეული.

ქართული თვითმყოფი ხალხური პოლიფონია მთელი თავისი ნაირფეროვნებით წარმოდგენილია იმერულ, გურულ, მეგრულ და აჭარულ სამხმთან სიმღერებში. მაგრამ მათ შორის კონტრაპუნქტული ხერხების სირთულით, ხმათა ურთიერთდამოკიდებულების თავისებურებებით და ინტონაციურად განვითარებული ბანის აქტიური მონაწილეობით გამოირჩევა გურული სიმღერები. ისინი გვაოცებს ტექნიკურად მდიდარი, რთული და მრავალფეროვანი მუსიკალური მასალით, რომელიც განვითარებულია პოლიფონიური საწყისის საფუძველზე და ეს პოლიფონია წარმოდგენილია მეტად რთულ კომპლექსებში ყველა კონტრაპუნქტული ხერხით.

ფართო საზოგადოებისათვის ქართული ხალხური საგუნდო კულტურის გასაცნობად პირველი პრაქტიკული ნაბიჯი ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ ხარლამპი სავანელმა გადადგა. მან 1873 წელს ჩამოაყალიბა გუნდი და ქართული საგუნდო სიმღერების გამომხეურებისა და ფართო პროპაგანდის საქმეში დიდი როლი ითამაშა. მართალია, ხარლამპი სავანელის გუნდმა დიდხანს ვერ იარსება, მაგრამ ქართული გუნდის არსებობა ხალხის მოთხოვნილებად გადაიქცა და მას მიმდევრებიც გამოუჩნდნენ. 1885 წელს ლადო აღნიაშვილმა ჩამოაყალიბა „ქართული ხორო“, რითაც გზა გაუკაფა ქართული საგუნდო კულტურის აღორძინებასა და მის შემდგომ განვითარებას. ილია ჭავჭავაძემ ამ გუნდის მიერ გამართული პირველი კონცერტი ქება-

დიდებით მოიხსენია, დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა და მის მოღვაწეობაში ქართული ეროვნული პროფესიული მუსიკის შექმნისა და განვითარების დიდი შესაძლებლობა დაინახა.

ქართული საზოგადოების ერთსულოვანმა გამოცხადებამ მეტად გაამძნევა როგორც ლადო აღნიაშვილი, ისე გუნდის წევრები და მათ ირგვლივ შემოკრებილი ახალგაზრდა მუსიკოს-მოღვაწენი, რომელთაც უფრო გაცხოველებული ენერგიით განაგრძეს მუშაობა. . .

*გრიგოლ ჩხიკვაძე
(ქურნალი „საბჭოთა ხელოვნება“,
1954, №4)*

ქართული კულტურისა და მეცნიერების კერები

თბილისის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი



არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი დაარსდა 1941 წელს, 1936 წელს შექმნილი აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიმიკი) ბაზაზე.

ინსტიტუტის ძირითადი მიმართულებაა ქართული ენის შესწავლა როგორც ნორმატიული, ისე ისტორიული თვალსაზრისით; სხვა ქართველური (მეგრულ-ჭანური /ლაზური), სვანური) და მთის იბერიულ-კავკასიური (აფხაზურ-ადიღური, ნახური, დაღესტნური) ენების ფონეტიკის, გრამატიკული სტრუქტურის, სინტაქსის, ლექსიკისა და დიალექტოლოგიის საკითხების კვლევა სინქრონულ და დიაქრონულ ასპექტში, აგრეთვე ტიპოლოგიური თვალთახედვით ამ ენათა სხვა ჯგუფის ენებთან კონტაქტები.

ენათმეცნიერების ინსტიტუტი ერთადერთი სამეცნიერო დაწესებულებაა, სადაც შეისწავლება იბერიულ-კავკასიური (პალეოკავკასიური) ოჯახის 30-ზე მეტი ენა, რომელთაგან დამწერლობის მქონეა 15.

ენათმეცნიერების ინსტიტუტში შეიქმნა ფუნდამენტური გამოკვლევები, რომლებმაც არსებითად განსაზღვრა ენათმეცნიერული აზრის განვითარება საქართველოში:

ინსტიტუტის მიერ შექმნილმა უმნიშვნელოვანესმა გამოკვლევებმა, მის მიერ ჩატარებულმა მრავალფეროვანმა სამუშაომ ქართულ საენათმეცნიერო სკოლას დამსახურებული ავტორიტეტი მოუპოვა. ინსტიტუტმა სამართლიანად დაიმკვიდრა მსოფლიოში ქართველური და მთის კავკასიური ენების შესწავლის სამეცნიერო ცენტრის სახელი. ქართული საენათმეცნიერო სკოლის შედეგებსა და პრინციპებს იზიარებენ და ემყარებიან საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე კავკასიოლოგებიც, რამაც განაპირობა ქარ-

თველ ენათმეცნიერთა მიწვევა და აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე.

ენათმეცნიერების ინსტიტუტს მუდმივი სამეცნიერო კონტაქტები აქვს უცხოეთის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრთან. ქართველ მეცნიერებს იწვევენ მსოფლიო სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე. უკანასკნელ ხანს 20-ზე მეტი თანამშრომელი მოწვევით იმყოფებოდა გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, შვედეთში, ისრაელში, ირანში, თურქეთში, პოლანდიაში, რუსეთში და სხვ. ახალგაზრდა მეცნიერი თანამშრომლები მიუღწევიან შრი-ლანკაში, პოლანდიაში, საფრანგეთსა და გერმანიაში. თანამშრომელთა ერთმა ჯგუფმა რამდენიმე პროგრამა განახორციელა ლუნდის უნივერსიტეტის ლინგვისტიკისა და ფონეტიკის დეპარტამენტთან ერთად, აგრეთვე ფრანკფურტისა და მიუნხენის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით.

ინსტიტუტისთვის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ქართველურ ენათა დიალექტური და დარგობრივი ლექსიკონების სრული კორპუსის შექმნა. ამ მიზნით ინსტიტუტი ახორციელებს ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის ლექსიკოლოგიური განაკვეთის პირველ ეტაპს. ამ პროგრამით უკვე გამოცემულია „ხევსურული ლექსიკონი“ (2005), „თუშური ლექსიკონი“ (2003), „გურული ლექსიკონი“, „ქართული ლექსიკონი“, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალი რედაქციის პირველი ტომი (2007-2008) და მზადდება დიდი ქართულ-რუსული ლექსიკონი. ინსტიტუტში ასევე შედგენილია „ინგილოური ლექსიკონი“, „ჭანური ლექსიკონი“, „ფშაური ლექსიკონი“. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „სვანური ლექსიკონი“.

ბოლო დროს გამოიცა „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, „ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი“, „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ რამდენიმე ტომი.

ინსტიტუტის მონაწილეობით და ხელმძღვანელობით გამოსაცემად მომზადდა ენციკლოპედია „ქართული ენა“. ეს არის ქართული ენის შესახებ უმნიშვნელოვანესი განმაზოგადებელი ნაშრომი, რომელიც წარმოაჩენს ქართული ენის სტრუქტურის, ქართული ლინგვისტური აზრის განვითარების ძირითად ეტაპებს, წარმოგვიდგენს კულტურისა და მეცნიერების იმ ცენტრებს, რომლებმაც არსებითი წვლილი შეიტანეს ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

ინსტიტუტი სისტემატურად მუშაობს ქართული სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინო-

ლოგის ნორმალიზაციისა და უნიფიკაციის საკითხებზე. მეცნიერების სწრაფი განვითარების ეპოქაში სემანტიკურად ზუსტი და ცალსახა, ფორმობრივად მოქნილი და ენის შინაგან ბუნებას შეგუებული ტერმინის მიგნება და დანერგვა ინსტიტუტისთვის მნიშვნელოვანი ამოცანაა. ამ მხრივ ინსტიტუტს დიდი გამოცდილება და ტრადიცია აქვს, რაც ხელსაყრელ პირობას უქმნის ტერმინოლოგიური მუშაობის შემდგომ გაღრმავებასა და გაფართოებას. ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებამ ყველა ოფიციალურ სფეროში მოითხოვა შესაბამისი ტერმინოლოგიებისა და სტანდარტების შექმნის აუცილებლობა.

ერთი სიმღერის ისტორია

„კირიალესა“

ბერძნული ფორმულა *კირიე ელეისონ* (უფალო შეგვიწყალე) საქართველოში რამდენიმე სიმღერის სახელწოდებასა და რეფრენში დასტურდება, ოღონდ გახალხურებული, მოდიფიცირებული ფორმით: *კირიალესა, ლეიხონ და კირია, კილილესა, კრიალესო, ეისადე კირიე*.

კირიალესას სამეგრელოში ახალი წლის მისალოცად კარდაკარ ჩამოვლისას დღესაც ასრულებენ. აღნიშნული მსვლელობა დეტალურად აქვს აღწერილი XVII საუკუნის იტალიელ მისიონერს, თეატინელ ბერს – არქანჯელო ლამბერტის: „ახალწელიწადს დიდ პატივსა სცემენ და ფრიად დღესასწაულობენ მეგრელები... გათენებისას გაემართებიან ბატონის სახლისაკენ. ამ პროცესიაში თითოეულს სასახლისაკენ მიაქვს ის, რაც შეჭვების მის ხელობას. მაგალითად, სახლთუხუცესი ყველაზე წინ მიდის და მოაქვს ხონჩაზე დაწყობილი ორი ოქროს გვირგვინი, ძვირფასი ქვებით შემკული – ერთი მთავრისათვის, მეორე დედოფლისათვის. ამას მისდევს მეჯინბეთუხუცესი, რომელსაც მიჰყავს შემკული ცხენი. ვისაც ჯოგები აბარია – მსუქანი ხარი. მწყემსს – საუკეთესო ბატკანი, მზარეულებს – გოჭები და ხოხბები, ხაბაზს – პური, მეღვინეს – ღვინო, მებადეს – ხილი. ამათ მოსდევს საუკეთესო საეკლესიო ტანსაცმელში შემოსილი სამღვდელთა ხატებით ხელში. მთელი ეს პროცესია მხიარულად მიიმღერის *კირიელეისონ, კირიელეისონ*. ერთი რომ იტყვის, სხვები პასუხს გასცემენ. სახლის კარს რომ მიუახლოვდებიან, ერთი მათგანი შემოსავს კარს სუროთი... კირიელეისონის გალობით შედიან სასახლეში, ყველა ოთახს შემოივლიან და სუროთი შემოსავენ“ (არქანჯელო ლამბერტი – *სამეგრელოს აღწერა*. თბ. 1938:137-138). ცნობილია, რომ მომღერლებს ვაშლით, ბროწეულითა და ყვავილებით შემკული ჩიხილაკიც დაჰქონდათ ხოლმე. აღილლობისა და ჭონაზე სიარულის მსგავსად, *კირიალესას* მოქმედები სანოვაგესა და ფულს აგროვებდნენ.

– ჰეი, მასპინძელო, კარი გააღე/ ახალ წელს მოგილოცავ/ეს ძველი და სხვა – ახალი/ სიკეთით გაიხარე/ ვერას გაკლებდეს ეშმაკი და მზაკვარი/ შენი ბედელი – ღომის მარცვლით აივსოს/ შენი მარანი – ღვინით აივსოს/ შენი აკვანი – დალოცვილი/ შენი დამწყველელი – ამომწყდარი/ მოხუცებული თუ გყავს – მიელწიოს შეიდას წლამდე/ შორს თუ გყავს ვინმე – მშვიდობით დაგბრუნებოდეს/ ერთი რაიმე დამიმატე შენაგ-

როგებ ფულზე! – ასეთია ამ საახალწლო მილოცვის სიტყვიერი ტექსტების ქართული თარგმანი.

აღსანიშნავია, რომ *კირიე ელეისონის* დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული 8 ქართული ვარიანტიდან 4 – სწორედ მეგრული საახალწლოა და მათი ინტონაციური ანალიზი აშკარად ავლენს კავშირს საფერხულო წყობის ნიმუშებთან. ერთი – იმერული *კრიალესო* სააღდგომო ფერხულად არის დაფიქსირებული. ვფიქრობ, ეს ფაქტი კარგი არგუმენტია საშობაო და სააღდგომო სიმღერების ერთი წყაროდან მომდინარეობის მტკიცებისათვის, ხოლო მათი შესრულების საფერხულო წესი მართლაც რიტუალის წარმართულ ხანაში წარმოშობაზე უნდა მიგვანიშნებდეს. დიმიტრი არაყიშვილის მიერ 1902 წ. სამეგრელოში ჩაწერილი *ლესიონ და კრია* და უნგრელი კონსტანტინე კოვაჩის მიერ 1929 წ. სამურზაყანოში მოპოვებული *კილილესა* მინდვრის ან ყანის სამუშაოების დასრულებისას სათქმელი ორხმიანი სიმღერებია.

გ. ელიავას ხელნაწერი მასალების მიხედვით ირკვევა, რომ *კირიე ელეისონის* კიდევ ერთი ვერსია სამეგრელოში (სოფ. ბანძა) ადღგომიდან მერვე დღეს გამართულ ჭკვენიერობის დღესასწაულს უკავშირდება. ნინო

ღამბაშიძის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, სიმღერა *ეისადე კირიეს* ასრულებდა მუხის ნორჩ ხეზე ასული მოხუცი მამაკაცი. შემდეგ ამ ხეს კაცები მოთხრიდნენ, მხრებზე გაიდებდნენ და ამავე სიმღერით ჯერ სასაფლაოს შემოუვლიდნენ, შემდეგ კი ეკლესიას.

2011 წ. ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის მიერ მარტვილში მოწყობილმა ექსპედიციამ (ნ. ღამბაშიძე, მ. სუხიაშვილი) გამოავლინა *კირიალესას* საინტერესო ნიმუში, რომელიც მუსიკალური თვალსაზრისით ძალიან ჰგავს *ელესას*. ასე რომ, შეიძლება დასავლეთ საქართველოს რამდენიმე კუთხეში საწნახლის, ხის მორების, მძიმე ტვირთის გადატანის, ნავის ან ბადის გამოთრევის დროს კოლექტიური შრომის პროცესის ორგანიზებისათვის განკუთვნილი ნიმუშის სახელწოდება, აგრეთვე, გურიასა და აჭარაში *ნადურის* დამამთავრებელი *ელესა* და ლაზეთში შემორჩენილი საქორწილო *ჭელესაც კირიე ელეისონის* სახეცვლილ ფორმად მივიჩნიოთ.

*ნინო კალანდაძე
ეთნომუსიკოლოგი,
მუსიკოლოგიის დოქტორი*

კირაღესა

საშობაო (მეგრული)

ჩან. მარინა ხუხუნიანი
ნანი ჯაიანისაგან (ჩხორონყუ)

სა სა-და-ვოჲ კი-რე - ლეჲ - სა
სა-და-ვოჲ კი-რე - ლეჲ - სა სა-და-ვოჲ კი-რე - ლეჲ - სა

1. ჩქინ მენ-ძე-ლი ხო-ში-ა-ნი, ქო-მი-ო-თი ო-ში-ა-ნი.
1. ჩქინ მენ-ძე-ლი ხო-ში-ა-ნი, ქო-მი-ო-თი ო-ში-ა-ნი.

სა სა-და-ვოჲ კი-რე - ლეჲ - სა
სა-და-ვოჲ კი-რე - ლეჲ - სა სა-და-ვოჲ კი-რე - ლეჲ - სა

1. ჩქინ მენძელი ხოშიანი,
ქომი ოთი ოშიანი.

2. ჭკიჭკიტია მეხოხუნს,
ფსუა ქოჩა ნაფუდას.

3. შორს (ჯარს) მითინჲ ქორცუნსუდა,
აშო ქორჭარაფუდას.

1. მასპინძელი ეშხიანი,
გადმომიგდე ასიანი.

2. ჭიანჭველა მიხოხავს,
ფეხები გამობმოდეს.

3. შორს (ჯარში) ვინმე თუ გყავს წასული,
შინ დაბრუნება გღირსებოდეს.

რედაქტორი: მაკა ხარძიანი

მთარგმნელი: მანია კაჭკაჭიშვილი

კომპ. უზრუნველყოფა:

მაკა ხარძიანი

თამაზ გაბისონია

ლევან ვეშაპიძე

© თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2011

ISS 1512 – 2283

ბიულეტენი გამოდის წელიწადში ორჯერ, ქართულად და ინგლისურად

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი, 0108,
გრიბოედოვის ქ. №8–10, –10, 10, 10,

ტელ: 995/32/998 953 ფაქსი: 995/32/987 187

E mail: polyphony@polyphony.ge;

www.polyphony.ge